



ურთიერთგაეტების და თანამშრომლობის მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს -

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა

და

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შორის

ქ. თბილისი

„20. 03. 2018 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - უნივერსიტეტი), წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის, გვერდის, გვა ზედანიას სახით და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი). წარმოდგენილი რექტორის, თომა ხუფლისას სახით, იზიარებენ რა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სფეროს განვითარების ღირებულებებს და მიზნებს, ხელმძღვანელობენ რა ურთიერთგაგებისა და პარტიკისცემის პრინციპებით, გამოხატავენ ურთიერთათანამშრომლობის სურვილს და დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორანდუმის მიზანი

1.1. შეიქმნას სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შორის გრძელვადიანი თანამშრომლობის ჩარჩო, რომელიც საშუალებას მისცემს მასში შემავალ ორგანიზაციებს, თავისი წვლილი შეიტანონ საქართველოში აკადემიური და გამოყენებითი პლატფორმას განვითარებაში, მათ შორის, უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამის გაუმჯობესებაში.

1.2. თანამშრომლობის ფარგლებში, მაქსიმალურად ეფექტურად იქნას გამოყენებული სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევების ცენტრისა და სოციალური კვლევების ლაბორატორიის არსებული ინტელექტუალური და ტექნიკური რესურსი დასახული მიზნების მისაღწევად.

1.3. თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავდეს და განხორციელდეს საგანმანათლებლო, კვლევითი და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები (კვლევები, სემინარები, ლექციები, პრეზენტაციები, კონფერენციები, საინფორმაციო კამპანიები და სხვ.), მათ შორის პარტნიორებისა და დონორი ორგანიზაციების რესურსების გამოყენებით.

1.4. პარტნიორების ძალისხმევით მოხდეს აკადემიური და გამოყენებითი კვლევების პოპულარიზაცია და საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ეფექტური ინფორმირება.

2. მემორანდუმის მოქმედების ვადა და სხვა პირობები

2.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს რომელიმე მხარის მიერ მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ წერილობითი ფორმით მოთხოვნამდე.

2.2. მემორანდუმში ცვლილება შეიძლება შევიდეს მსარეების წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

2.3. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

2.4. შემდგომში შემუშავებული ერთობლივი პროექტები დაეყრდნობა მოცემული მემორანდუმის მიზნებსა და ძირითად პრინციპებს.

2.5. წინამდებარე მემორანდუმი არ არის შემზღვდავი ძალის მქონე მისი ხელმომწერი მხარეებისთვის. ის ასევე არ ითვალისწინებს/გულისხმობს რომელიმე პარტნიორი მხარის ინტერესების უგულებელყოფას ან მისი კომერციული საიდუმლო ინფორმაციის გასჯაროებას.

2.6. მოცემული მემორანდუმის მხარეების ურთიერთობის კოორდინირება მოხდება იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევების დენტრისა და სოციალური კვლევების ლაბორატორიის სამუალებით.

მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მის.: ქ.ჩოლოფაშვილის გამზირი 3/5

ქ. თბილისი 0162, საქართველო

ტელ.: (995 32) 231 026; 294 197

ფაქსი: (995 32) 231 026, 220 009

A

ელ-ფოსტა: illiajuni.edu.ge

ვებ-გვერდი: www.illiajuni.edu.ge

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მის.: ჯანაშიას ქ. №14

ქ. ზუგდიდი 2100, საქართველო

ტელ: (+995 415) 25 62 17

ელ-ფოსტა: zssu.edu@gmail.com

ვებ-

გვერდი: www.zssu.ge/zssu2/

რექტორი



გიგაზედანია

რექტორი

თეონა ხუცენია

